ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4774881

ნომერი: AR1715265

თარიღი : 28.10.2019

გაცემის თარიღი : 02.12.2019

გაცნობის თარიღი : 02.12.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა თამარაშვილი , N 13;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე კორძახია პ/ნ 01009004543
- თბილისი, ა. ყაზბეგის 51ა. ბ.19

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 07 ოქტომბრის №4700584 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 28 ოქტომბერს №AR1715265 განცხადებით მომართა ალექსანდრე კორძახიამ და მოითხოვა ამავე სამსახურის

2019 წლის 07 ოქტომბრის №4700584 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 2019 წლის 07 ოქტომბრის №4700584 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ქუჩა თამარაშვილი, №13-ში მდებარე საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.10.16.004.179), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა, მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 07 ოქტომბრიდან 2019 წლის 07 ოქტომბრის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტებით სამსახურის 2019 წლის 07 ოქტომბრის №4700584 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, საცხოვრებელი ფართობი 11537.0კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 11425 კვ.მ, კომერციული ფართობი 352.0კვ.მ-ის ნაცლვად უნდა იყოს 302კვ.მ, საზაფხულო ფართობი 2704.0კვმ.-ის ნაცლვად უნდა იყოს 3046 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 4675.0 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 3111 კვ.მ-ის, ავტოსადგომების ფართობი 993.0კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 1986კვ.მ.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, გეგმები არ იცვლება უბრალოდ გეგმებზე ხდება ფართობების დაზუსტება, სამსახურმა ასევე დაადგინა, რომ ზემოაღნიშნული ფართობების ცვლილებასთან ერთად იცვლება საერთო ფართობი და იგი შეადგენს 19985კვ.მ-ს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2019 წლის 07 ოქტომბრის №4700584 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 07 ოქტომბრის №4700584 ბრძანების ტექნიკური ეკონომიკურ მაჩვენებლებში და საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს 11425 კვ.მ, კომერციულ ფართობად 302კვ.მ, საზაფხულო ფართობად 3046 კვ.მ, კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობად 3111 კვ.მ, მიწისქვეშა ავტოსადგომების ფართობად 1986კვ.მ, საერთო ფართობად 19985კვ.მ.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 07 ოქტომბრის №4700584 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდეს 2019 წლის 28 ოქტომბერს №AR1715265 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი გეგმებით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 07 ოქტომბრის №4700584 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 07 ოქტომბრის №4700584 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.